ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N4

 დაბა ქედა 26 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

26.09.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

1. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძემ განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 8 აგვისტოს №4788/02 წერილის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 75.26 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი (ს/კ: 21.03.33.072.01.501) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს წერილი N-EMSC 7 2300980241, რომლითაც მოთხოვნილია დაბა ქედაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 21.03.33.499) 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 147,96 კვ. მეტრი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემა, შემდგომში იქ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის განთავსების მიზნით.

დღეის მდგომარეობით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა განთავსებული დაბა ქედაში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე, რაც მოუხერხებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის სპეციფიკური საქმიანობიდან გამიმდინარე, მათი სამუშაოს ოპერატიულად და დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის. ამიტომ, მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული ქონება, კერძოდ: დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით 147,96 კვ. მეტრი გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს რომლის საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 333976,80 (სამას ოცდაცამეტი ათას ცხრას სამოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში